ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N43

20.09.2024 წელი **ქ. თბილისი,სოფელი დიდი ლილო,**

12:00 საათი **არჩილ მეფის ქუჩა N2**

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ანა კილაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში არჩილ მეფის ქუჩა #2-ში მდებარე სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოების და მიმდინარე პროცესის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.**
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოების და მიმდინარე პროცესის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა -მოგესალმებით, ლილოში სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები 2022 წელს დაიწყო, პირველ კონტრაქტორთან პრობლემები შეიქმნა და ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, მეორე კომპანიამ მშენებლობა გადაიბარა და ხარვეზები გამოასწორა. ამ ეტაპზე სამშენებლო სამუშაობი გეგმა-გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. სპორტული ცენტრის

მდებარეობიდან გამომდინარე აღნიშნული პროექტის განხორციელება ამ დასახლებისთვის საკმაოდ აქტუალურია, ძირითადი დატვირთვა 217-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებზე იქნება. ამჟამად სრულდება სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი, ვფიქრობთ წლის ბოლომდე აღნიშნული სპორტული ცენტრი სრულად დამთავრდება, აღიჭურვება და გაიხსნება. ცენტრში განთავსდება საჭიდაო დარბაზი 200 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნით, ტრენაჟორების და ფიტნესის დარბაზი, ასევე ადმინისტრაციისთვის საჭირო სივრცე.

კომისიის წევრებმა სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე - სასიხარულოა, რომ უახლოეს მომავალში დასრულდება სოფელ დიდ ლილოში მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობის პროცესი. აქ განთავსდება სხვადასხვა ტიპის სპორტული სივრცეები. თითოეულ ადამიანს ექნება შესაძლებლობა დაკავდეს ჯანსაღი ცხოვრების წესით, რაც აღნიშნული დასახლების მაცხოვრებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სხვა სპორტული სივრცე უახლოესი რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ფიზიკურად არ გახლავთ.

ქალაქ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში არჩილ მეფის ქუჩა #2-ში მდებარე სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოების და მიმდინარე პროცესის“ შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე